ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ა ნ გ ა რ ი შ ი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა განსაზრვრული იყო 5 669 795 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შემოსულობამ კი შეადგინა 5 352 052 ლარი, ანუ გეგმის შესრულება განისაზღვრა **92.92 %**-ით. *(თუ შევადარებთ გასული 2021 წლის ანალოგიურ ფაქტიურ მაჩვენებელს მიმდინარე წელს 2 877 251 ლარით მეტია შემოსული).*

გადასახადების გეგმა განსაზრვრული იყო 2 926 031 ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 2 832 568 ლარი ანუ 96,81%-ი, დამატებული ღირებულების გადასახადი პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 2 847 929 ლარს, ფაქტიურად შემოსულია 2 798 343 ლარი ანუ 98,26 %. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1 313 433ლარს, ფაქტიურად მიღებულია 1 252 443 ლარი ანუ 95 %.

განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 78102 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34226 ლარი ანუ 43,82,%-ი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა განსაზღვრული იყო 16420 ლარი, შესრულებამ შეადგინა 11281 ლარი ანუ 68,7 %. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა განსაზღვრული იყო 7900 ლარი, ფაქტი 7837 ლარი ანუ 99,2 %.

სხვა შემოსავლების 2022 წლის პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 751 327 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 866 044 ლარი, ანუ **115, %.** მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 50000 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31277 ლარი ანუ 62,55%
- შემოსავალი ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახადები გეგმა შეადგენდა 413700 ლარს, შესრულებამ შეადგინა 537 966 ლარი. იხილეთ დანართი #1.

2022 წლის ხარჯვითი ნაწილის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6 224 308 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 5 480 700 ლარი გეგმა შესრულდა 88,1 % -ით. იხილეთ დანართი #2.

პირველი კვარტლის მდგომარეობით კაპიტალურ პროექტებზე ხელშეკრულება გაფორმებულია 19–სხვადასხვა სახის სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოების ტენდერებზე რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 8 187 886 ლარს, შერჩევა შეფასების ეტაპზეა 1 –პროექტი ღირებულებით 173 552 ლარი, ხოლო გამოსაცხადებელია 3–პროექტი ღირებულებით 1 700 000 ლარი.

მათ შორის დარგობრივად:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 883054 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 845969 ლარი, შესრულeba - 95,8 %-ი.

სარეზერვო ფონდის ხარჯვით ნაწილმა პირველ კვარტალში შეადგინა 81115 ლარი. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 117-ოჯახს მათ შორის: 1) სტიქიური მოვლენების დიდ თოვლობის შედეგად დაზარალებულ 5-ოჯახს გაეწია დახმარება 16399 ლარის ოდენობით, 2) მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 112-ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 50813 ლარის ოდენობით. 3) უკრაინაში მიმდინარე საომარ მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით 10000 ლარი. 4) სოფელ მახვილაურში და ახალშენში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებისთვის, ჭაბურღილზე

არსებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვის მიზნით–3903ლარი. -ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სტიქიის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გამოეყო 49045 ლარი. იხილეთ დანართი N3 და N3/1

ეკონომიკური საქმიანობა პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 475 697 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 475691ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 99,9 %, აღსანიშნავია შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით და თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელის დანერგვის პროგრამა აღნიშნული პროგრამით 375 –მა კომლა ისარგებლა.

-გარემოს დაცვა

პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 327230 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 244657 ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 74,76 %,

საბინაო კომუნალური მეურნეობა

-პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1584373 ლარს, საკასო შესრულება კი 1379330 ლარი გეგმის შესრულება 87, %-ით მათ შორის;

წყალმომარაგების ღონისიებებზე პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 018 512 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1018396 ლარი გეგმის შესრულება 99,98%.:

-გარე განათებაზე პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 144850 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 135573 ლარი გეგმის შესრულება 93,59%.: მათ შორის ელექტრო ენერგიის მოხმარებული ღირებულების ხარჯმა შეადგინა 65723ლარი, ხოლო მოსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა კი 69850 ლარი.

-ჯანდაცვის სფეროში

ჯანდაცვის სფეროში არის 10-(ათი) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნული პროგრამების პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 250255 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შედგინა 139061 ლარი, ანუ 55,6%.

დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 322559ლარს, საკასო შესრულება კი 287238 ლარი ანუ 86,37%, მათ შორის:
- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 95470 ლარს, საკასო შესრულება კი 64539 ლარს, ანუ 67,60%: მათ შორის: მომსახურება კულტურისა სფეროში გეგმა შეადგენდა 234899ლარს, საკასო შესრულება კი 222699 ლარს, ანუ 94,80%.

განათლების სფეროში

- პირველი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1898150ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1683137 ლარი, ანუ 88,67%, მათ შორის:
- სკოლამდელი აღზრდა - გეგმა შეადგენდა 1221000 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 1 014 495 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 83%-ით,
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში გეგმა შეადგენდა 677150ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 668643 ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 98,74 %.
- **სოციალური დაცვის სფეროში** არის 9-(ცხრა) მიზნობრივი პროგრამა, აღნიშნულ პროგრამებზე პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 447 887ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 409 663 ლარი, ანუ 91,5%, მათ შორის:
- სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (უფასო სასადილოები) –გეგმა შეადგენს 32622 ლარს, საკასო შესრულება კი – 2503 ლარი ანუ 7,7,6%.
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში გეგმა შეადგენდა 419 165 ლარს, შესრულება კი 407 160 ლარს, ანუ 97,13%.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 606 364 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 1 477 716 ლარი. ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 88.1% რომელიც შესრულებულია პირველი კვარტლის მდგომარეობით დადებითია.